



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის
მერია
G E O R G I A
RUSTAVI CITY MUNICIPALITY CITY HALL



წერილის ნომერი: **38-382504986**
თარიღი: **18/02/2025**

ადრესატი: საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებში ბოლნისის, გარდაბნის, დმანისის, თეთრიწყაროს, მარნეულის, წალკისა და ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტში სახელმწიფო რწმუნებულის - გუბერნატორის ადმინისტრაცია

2024 წლის 28 მაისის N01/854 წერილობითი მომართვის პასუხად გაცნობებთ, რომ მიწის ნაკვეთზე- ს/კ: **02.05.02.362** (ფართობი: 1197 კვ.მ) ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ, ამ ეტაპზე, არ იგეგმება ადგილობრივი მნიშვნელობის ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება. ამასთან, მითითებული საკადასტრო ერთეული „ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტაციის-გენერალური გეგმისა და განაშენიანების გეგმის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 29 ნოემბრის N154 დადგენილების კონკრეტული უფლებრივი ზონირების რუკის შესაბამისად მდებარეობს **საცხოვრებელი ზონა 2 სექტორი 2 (სზ 2 სექტორი 2)**.

ზემოაღნიშნული დადგენილების დანართი 3-ის IV მუხლის I პუნქტის მიხედვით: დაბალი ინტენსივობის საცხოვრებელ ზონა (სზ 2) წარმოადგენს საცხოვრებელი ზონის ერთეულს ვანაშენიანების, სადაც დომინირებს ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლები. საცხოვრებელი ზონა (სზ 2) იყოფა ორ სექტორად: ა) სექტორი 1 ბ) სექტორი 2.

სექტორი 2 მშენებლობის **ნებადართული სახეობებია:** ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლი (სადაც უკვე არსებობს ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების განაშენიანება); დაბალი ინტენსივობის მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი, რომლის მეორე სართულის იატაკის ნიშნულის სიმაღლე, საზოგადოებრივი სივრცის მხარეს მდებარე მიწისპირა ნიშნულიდან, მინიმუმ შეადგენს 4.8 მ.). სარეკრეაციო სივრცეები და მისი ფუნქციონირებისთვის საჭირო შენობა და ნაგებობა; კვების და სავაჭრო ობიექტი, რომელიც ემსახურება შესაბამის განაშენიანებას; საოჯახო (არასამეწარმეო) საბაღე და საბოსტნე მეურნეობისთვის საჭირო შენობა-ნაგებობა (მათ შორის, ორანჟერეა და სათბური), სამეზობლო თმენისა და სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმების დაცვით; მცირე ზომის სახელოსნო, რომელიც არ არღვევს სამეზობლო თმენის პრინციპებს; რელიგიური/საკულტო, კულტურის, სოციალური, ჯანდაცვისა და სასპორტო ობიექტი; სკოლამდელი და სასკოლო აღზრდის დაწესებულება; საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტი; ადმინისტრაციული ობიექტი; ინდივიდუალური სამეურნეო და ტექნიკური დამხმარე ნაგებობა.

საგამონაკლისო წესით შეიძლება ასევე დასაშვებ იყოს: სასტუმრო; მცირე ზომის სამეწარმეო ობიექტი, რომელიც არ არღვევს სამეზობლო თმენის პრინციპებს და არ არის საშიში სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის; ოფისი; განაშენიანების პარამეტრების ცხრილის მიხედვით სამშენებლო პოტენციალის მქონე მიწის ნაკვეთის მინიმალური ფართობია 300მ², ხოლო მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლებისა და სასტუმროებისთვის 400მ², ამავე ცხრილის მიხედვით რეგულირდება ზომებისადმი არსებული მოთხოვნები.

რაც შეეხება, ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის პოზიციას, აღნიშნული ტერიტორიის სსიპ-სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს მიერ პრივატიზებასთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ იგი, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად და ქალაქის განაშენიანების გენერალური გეგმის მოთხოვნების გათვალისწინებით, არ არის წინააღმდეგი განხორციელდეს მიწის ნაკვეთის (ს/კ: 02.05.02.362) გასწვების პროცედურები.

პატივისცემით,

ნინო ლაცაბიძე

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერია-ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერი

გამოყენებულია კვალიფიციურია ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული მტამპი

